ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N83

2018 წლის 10 მაისი

ქ.ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების და მასზე დამაგრებული არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1.გადაეცეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკას საკუთრებაში, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბობოყვათში მდებარე 4234.0 კვ.მ არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 255.65 კვ.მ საერთო ფართის შენობა- ნაგებობები (ს/კ N20.44.01.328), სოფელ მუხაესტატეში, მდებარე 852.0 კვ.მ არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 275.2 კვ.მ ფართის შენობა- ნაგებობა (ყოფილი ადმინისტრაციული შენობა, (ს/კ N20.33.01.044), სოფელ ქაქუთში მდებარე 1246.0 კვ.მ არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (ს/კ N20.31.01.178) შემდგომში იქ მცხოვრები მოქალაქეებისათვის საკუთრების უფლებით გადაცემის მიზნით.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის. ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30;

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე დ.მჭედლიშვილი